პრაქტიკული კვლევა

როგორ განვავითაროთ ფონოლოგიური უნარები, რათა აღმოვფხვრათ კითხვაში პრობლემები

განაცხადი:

წინამდებარე პედაგოგიური კვლევა წარმოადგენს ჩემ მიერ შექმნილ ნაშრომს, რომელიც საკუთარი პედაგოგიური გამოცდილების საფუძველზე ეტაპობრივად შეიქმნა. პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ ეს ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნაშრომს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოყენებულ/გამოქვეყნებულ მასალას. ნაშრომში გამოყენებულია სხვა ავტორთა მასალები სათანადო წესის დაცვით. ამ მასალიდან მოხდა ინფორმაციის ამოღება ციტირებით, რომლის ბოლოშიც მითითებულია ავტორის ვინაობა და გამოქვეყნების დრო.

კვლევის ავტორი N172 საჯარო სკოლის დაწყებითი კლასების პედაგოგი

ლიანა ქემაშვილი

2019 წელი

სარჩევი

შესავალი---------- 4

თავი I ---------- 5

1.1 მოკლე 1. საკვლევი საკითხის მიმოხილვა -

ინფორმაცია სკოლის შესახებ,

1.2 პრობლემის აქტუალობის დასაბუთება,

1.3 საკვანძო სიტყვები

თავი II ---------- **7**

2. პრაქტიკული კვლევის არსი და სკოლაში მისი დანერგვა

თავი III ----------7

3. ლიტერატურის მიმოხილვა

თავი IV ----------11

4. კვლევის დიზაინი

4.1კვლევის მიზნები

4.2 კვლევის ამოცანები

4.3 კვლევის სამიზნე ჯგუფი

4.4 კვლევის მეთოდები

4.5 კვლევის გეგმა

თავი V---------- 14

5. ცხრილებითა და გრაფიკებით მიღებული შედეგების ანალიზი

5.2 მოსწავლეთა კითხვარის შედეგების ანალიზი

5.2 მშობელთა კითხვარის შედეგების ანალიზი

თავი VI ----------17

6. ინტერვენციები

6.1 კვლევის მეთოდების განხილვა

6.2 ინტერვენციის დაგეგმვა

6.3 ინტერვენციების შედეგი და მათი ანალიზი

თავი VII ---------- 26

7.კვლევის ვადები, მიგნებები , რეკომენდავიები, კვლევის ნაკლოვანებები, დასკვნა, ბიბლიოგრაფია.

7.1კვლევის ვადები

7.2 მიგნებები

7.3 რეკომენდაციები

7.4 კვლევის ნაკლოვანებები

7.5 დასკვნა

ბიბლიოგრაფია.

შესავალი

ბავშვის განვითარების მნიშვნელოვანი და რთული სფეროა-რას მოიცავს ის საკუთარ თავში?

მეტყველება გულისხმობს ზეპირ მეტყველებას, ბავშვის უნარს, ერთი მხრივ, გამოთქვას თავისი შეხედულებები, ფიქრები, მეორე მხრივ, მოისმინოს და აღიქვას გარშემომყოფების ნათქვამი. ზეპირ მეტყველება მოცავს: რეცეპციულ მეტყველებას (რა ესმის), ექსპრესიულ მეტყველებას (რისი თქმა შეუძლია) და პრაგმატულ განვითარებას (რა სიტუაციაში და როგორ იყენებს ენის ცოდნას). გამოიყოფა მეტყველების სხვადასხვა ტიპები:

რეცეპციული მეტყველება გულისხმობს მოსმენასა და მოსმენილის გაგების უნარს. ბავშვი მიუთითებს დასახელებულ საგანზე ან ასრულებს დასახელებულ მოქმედებას (უთითებს სად არის თოჯინა, სადა აქვს ცხვირი; თხოვნაზე, დაუკრას ტაში, უკრავს ტაშს), ასე იწყება რეცეპციული მეტყველების უნარის განვითარება. შემდგომში ბავშვის ლექსიკური მარაგი იზრდება, ესმის მეტი სიტყვის მნიშვნელობა, უნვითარდება რთული გრამატიკული სტრუქტურისა და ვრცელი ტექსტის გაგების უნარი.

პროდუქტიული, ექსპრესიული მეტყველება მოიცავს ბავშვის უნარს სიტყვიერად გამოხატოს სხვადასხვა შინაარსი. ბავშვი იწყებს ღუღუნს, ტიტინს, სიტყვების, ფრაზების წარმოთქმას. თანდათან ბავშვი სულ უფრო მეტ სიტყვას იყენებს საუბრის დროს, აგებს რთულ გრამტიკულ და სინტაქსურ კონსტრუქციებს, ეუფლება გაბმულ მეტყველებას.

პრაგმატული განვითარება გულისხმობს დიალოგის უნარ-ჩვევის ჩამოყალიბებას, გასაგები კომუნიკაციისა და თხრობის უნარის გამომუშავებას. რა მიზნით და რა სიტუაციაში იყენებს ენას ბავშვი? პრაგმატული განვითარება იწყება

მოთხოვნილებისა და სურვილის გამოხატვით და სრულდება წარმატებული კომუნიკაციით. კომუნიკაცია შეიძლება იყოს ვერბალური და არავერბალური, ვერბალური კომუნიკაცია მოიცავს შინაარსის სიტყვიერ გამოხატულებას, ხოლო არავერბალური კი - ჟესტიკულაციას - სახის გამომეტყველებას, სხეულის მოძრაობას, ინტონაციასა და სხვა არასიტყვიერ მახასიათებლებს. წარმატებული ურთიერთობის დროს მოსაუბრე სათქმელის ჩამოყალიბებისას ითვალისწინებს მსმენელის ინტერესებს და იმ სიტუაციას, რომელშიც მიმდინარეობს მათი ურთიერთობა. თავის მხრივ, მსმენელი ცდილობს ჩასწვდეს არა მარტო სიტყვების მნიშვნელობას, საუბრის თემას, არამედ მოსაუბის მიზანიც ამოიცნოს.

წიგნიერება კი გულისხმობს წერითი მეტყველების დაუფლებისათვის მომზადებას, წერა-კითხვის მიმართ ინტერესის გაღვივებასა და დადებითი დამოკიდებულების ჩამოყალიბებას, ბავშვის გათვითცნობიერებას იმ საკითხებში, თუ როგორ და რა მიზნით გამოიყენება ნაბეჭდი მასალა. აღნიშნული ქვესფერო აერთიანებს წერისა და კითხვის მიმართულებას:

კითხვის მიმართულება ემსახურება იმ საბაზისო უნარების განვითარებას, რომლებიც ხელს უწყობს შემდგომში კითხვის უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებას (მაგ.: მეტყველების ნაკადში ბგერებისა და სიტყვების გამორჩევის (ფონოლოგიური) უნარები, ნაბეჭდ მასალასთან მოპყრობის ჩვევა).

თავი I

მოკლე 1.1.მოკლე 1. საკვლევი საკითხის მიმოხილვა -

კითხვის დროს ადამიანი იღებს ინფორმაციას სხვადასხვა დანიშნულების ტექსტებიდან. როდესაც ბავშვს მხატვრულ ლიტერატურას უკითხავენ, უნდა შეეძლოს ესთეტიკური სიამოვნების განცდა; როდესაც საგანმანათლებლო ტექსტებს

აცნობენ, შემეცნებითი ინფორმაციის მიღება უნდა შეძლოს, ხოლო, თუ წერილობით ინსტრუქციას გააცნობენ, ამ უკანასკნელის შესაბამისად მოქმედება უნდა შეძლოს.

ფონოლოგიური უნარ-ჩვევები კითხვის ერთ-ერთი საფუძველია. ამ უნარების მქონე ბავშვებს შეუძლია ბგერებითა და ზეპირი სიტყვებით მანიპულირება, ბგერებითა და სიტყვებით „თამაში“. მარცვლებად და ბგერებად დაშლა, ძირითადად იგულისხმება ბგერების ამოცნობა, ზეპირი სიტყვების მარცვლებად და ბგერებად დაშლა, ასევე ბგერებისა და მარცვლების გადაბმა-გამთლიანება.

2 .მოკლე ინფორმაცია სკოლის შესახებ

სსიპ ქ. თბილისის N172 საჯარო სკოლა მდებარეობს ისან-სამგორის რაინოში. სკოლის დირექტორია ბ-ონი დავით ბრეგვაძე. სკოლაში სწავლობს 1122 მოსწავლე და მუშაობს 65 პედაგოგი. მათ შორის 28 პრაქტიკოსია, 37- უფროსი. სკოლა ჩაბმულია სოციალურ და სხვადასხვა სასწავლო პროექტებში. სკოლის პედაგოგები სისტემატიურად იმაღლებენ კვალიფიკაციას სხვადასხვა ტრენინიგისა თუ სემინარის გამოყენებით. ესწრებიან კონფერენციებს და თავადაც ატარებენ ტრენინგებს საჭიროებისამებრ.

1.2 პრობლემის აქტუალობის დასაბუთება

ადრეულ ასაკში ბავშვები ვერ ახერხებენ ზეპირად წარმოთქმული სიტყვების ერთმანეთისაგან გამოყოფას, რადგან მათთვის საუბარი ბგერათა უწყვეტ ნაკადად აღიქმება; საჭიროა, რომ მათ ჩამოუყალიბდეთ უნარი, რომლის მეშვეობითაც შეძლებენ წინადადებაში სიტყვების, სიტყვებში მარცვლებისა და ბგერების, მარცვლებში ბგერების გამოცალკევებას, აგრეთვე ცალკეული ბგერებისა და მარცვლებისაგან სიტყვების შედგენას. ცნობილია ,რომ ბავშვები, რომელთაც ჩამოყალიბებული აქვთ ფონოლოგიური უნარ-ჩვევები, ადვილად ეუფლებიან ასო-ბგერებს. ამიტომ ფონოლოგიურ უნარებზე მუშაობას დეკოდირების უნარის განვითარებისათვის განსაკუთრებული ყურადღება ექცევა.

1.3 საკვანძო სიტყვები

ფონოლოგიური უნარები; კითხვის უნარები; დიფერენცირებული სწავლება; მშობელთა ჩართულობა; ინტერვენციები; სკრინინგი; ფოკუს-ჯგუფები.

თავი II

პრაქტიკული კვლევის არსი და სკოლაში მისი დანერგვა

ზემოთ მოცემული კვლევის ძირითადი მიზანი გახლავთ, გამოვკვეთო, შევისწავლო და დავამუშავო ის ძირითადი საკითხები, რომელიც ფონოლოგიური უნარების ჩამოყალიბებასთანაა დაკავშირებული,ასევე განვახორციელო ის ძირითადი ღონისძიებები და აქტივობები, რომლებიც მოსწავლეთა კარგ მკითხველებად ჩამოყალიბებას შეუწყობს ხელს. მინდა აღვნიშნო, რომ კვლევის სწორად წარმართვასა და განხორციელელებაში დიდი მნიშვნელობა აქვს ინტერვენციების სწორად შერჩევას, შემაფერხებელი ფაქტორების გამოვლენას, ასევე თანმიმდევრული მიდგომებითა და აქტივობებით პატარებში კვლევის ძირითადი მიზნის- ფონოლოგიური უნარების განვითარებას. ჩემ მიერ მგანხორციელებულ ინტრვენციებში აქტიურად ჩავრთავ მშობლებს და გადავუნაწილებ პასუხისმგებლობებს, რაც ვფიქრობ, წარმატების მიღწევის საწინდარი იქნება.

თავი III

ლიტერატურის მიმოხილვა

ხშირად ისმის კითხვა- როგორი ქვეყანა იქნება ჩვენი საქართველო? პასუხი ერთია- ისეთი, როგორ თაობებსაც აღვზრდით ჩვენ.

აღზრდა თავის მხრივ, სამ კომპონენტს აერთიანებს: მართვას, სწავლასა და ურთიერთობას.

„ნებისმიერი ქვეყნის განვითარების, წინსვლისა და წარმატების საწინდარი, ნაკითხ, განათლებულ საზოგადოებაშია.“-ამბობს ბავშვთა ფსიქოლოგი ნინო ახალაია.

და, რადგანაც ფონოლოგიური უნარების განვითარება კითხვის ერთ-ერთი საფუძველია, მათი ფლობა მეტად მნიშვნელოვანია.

კითხვაში პრობლემის მქონე ბავშვებს შორის ხშირად გვხვდებიან სწორედ ფონოლოგიურ უნარ-ჩვევებში გაუწაფავი ბავშვები. ეროვნულ სასწავლო გეგმაში ვხედავთ, რომ წიგნიერება პირველ ადგილზეა პრიორიტეტულ გამჭოლ კომპეტნციათა შორის. წიგნიერება ვიწრო გაგებით ნიშნავს კითხვისა და წერის ცოდნას, ფონოლოგიური უნარების ფლობას.

როგორც კვლევები ცხადყოფს, ზოგადი განათლების სხვადასხვა საფეხურზე, ასევე უმაღლესი განათლების საფეხურზე უკეთესი მიღწევები აქვთ იმ მოსწავლეებს/სტუდენტებს, რომელთაც დაწყებით საფეხურზე კარგად ისწავლეს კითხვა და წერა. თავის მხრივ, მოსწავლეებს, რომელთაც მეოთხე კლასამდე არ განუვითარდათ კითხვისა და წერის უნარ-ჩვევები, უჭირთ ამ უნარების გამომუშავება მომდევნო კლასებში.

ყოველივე ცხადყოფს, რომ დაწყებითი კლასის მასწავლებელს მოსწავლის სწავლა-განვითარებისთვის საჭირო ფუნდამენტური პროცესების განხორციელებაში უდიდ ესი პასუხისმგებლობა ეკისრება.

კითხვის უნარის განვითარება რთული პროცესია. კითხვის უნარ-ჩვევები ხუთ ძირითად კომპონენტს შორის ფონოლოგიური უნარ-ჩვევები ერთ-ერთი

უმნიშვნელოვანესია და მისი არარსებობა, სხვა კომპონენტების განვითარებას უშლის ხელს.

სხვადასხვა წყაროდან და კვლევიდან მიღებული ინფორმაციები ნათლად აჩვენებს, რომ ფონოლოგიური უნარები სმენითი, სამეტყველო ბგერების გამოყენებასთან დაკავშირებული უნარებია. არ არის აუცილებელი, მოსწავლემ იცოდეს ანბანი იმისათვის, რომ განივითაროს ფონოლოგიური უნარები.

აქედან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ კითხვის უნარის განვითარების შეფერხების ერთ-ერთი მიზეზი, რიგ შემთხვევებში, არასაკმარისი და არასათანადო სწავლებაა.

კითხვის სწავლების პროცესებზე, რასაკვირველია, გავლენას ახდენს მოსწავლის კოგნიტური განვითარება. მარტივად რომ ვთქვად, ისინი ვინც ჟ.პიაჟეს აზრს ეთანხმებიან, მიიჩნევენ, რომ სწავლა შედეგიანია მაშინ, თუ ის ბავშვის განვითარების დონეს შეესაბამება. ხოლო, ისინი ვინც ლ.ვიგოტსკის თეორიას იზიარებენ, მიაჩნიათ, რომ პირიქით, სწავლა უწყობს ხელს განვითარებას.

როგორც არ უნდა იყოს, პედაგოგიური პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ კლასი ერთი ჰომოგენური ჯგუფია, სადაც შედიან სხვადასხვა გამოცდილების, განვითარებისა და მიღწევების მქონე მოსწავლეები. მასწავლებელი იმგავარად უნდა წარმართავდეს სწავლებას, რომ ყოველმა მოსწავლემ მიაღწიოს საუკეთესო შედეგს თავისი განვითარების ფარგლებში.

თითოეულ მოსწავლეს აქვს თავისი ინდივიდუალური განვითარების უახლოესი ზონა (ლ. ვიგოტსკი) და მასწავლებელმა ამ ზონის ფარგლებში უნდა გაუწიოს მათ კონსტრუქციული დახმარება: „ბავშვის სწავლების პროცესი „ჯადოსნურ შუალედში“ უნდა მიმდინარეობდეს, როცა სწავლა მათთვის არც მოსაწყენი იქნება და არც ძალიან რთული“(მ.მელიქიშვილი, 2012 : 21).

როგორ მოვიქცეთ? რა მექანიზმები უნდა გამოვიყენოთ ამისთვის?

ამ კითხვებზე პასუხს G-PRIED-ის სასწავლო-მეთოდოლოგიურ რესურსების კრებულში (კითხვისა და წერის სწავლება დაწყებით საფეხურზე, 2015.) ვკითხულობთ, რომელიც დაწყებითი კლასების მასწავლებლებს ეფექტურ და ინოვაციურ მიდგომებს/მეთოდებს სთავაზობს. კერძოდ, სასწავლო პროცესის მორგებას მოსწავლეთა საჭიროებებზე - დიფერენცირებული სწავლება.

როგორც ამ კრებულშია აღწერილი, დიფერენცირებული სწავლება მასწავლებლისგან სწავლისა და სწავლების სხვადასხვა მეთოდს მოითხოვს. სწავლების ამგვარი მიდგომა წარმატებით გამოიყენება კითხვისა და წერის უნარების განვითარების პროცესში, რომლის გამოყენებისას გათვალისწინებული უნდა იქნას გარკვეული საბაზო პრინციპები:

- სასწავლო პროცესის დაგეგმვის დროს მნიშვნელოვანია მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებების შესწავლა და გათვალისწინება.
- მნიშვნელოვანია, რომ მოსწავლეები სწორად გადანაწილდნენ სამუშაო ჯგუფებში და თითოეულ ჯგუფს მიეცეს ადეკვატური სირთულის ტექსტები/დავალებები.
- ყველა მოსწავლემ/ჯგუფმა უნდა მიიღოს მიზნობრივი დახმარება და უკუკავშირი ფონოლოგიური უნარების გაუმჯობესების გზაზე.

როგორც გამოიკვეთა, მოსწავლის ფონოლოგიური უნარების გაუმჯობესებისკენ მიმართული გზები მისი ინდივიდუალური საჭიროებების შეფასებაზე გადის.

შეფასება ეფექტური სწავლების ერთ-ერთი საკვანძო ელემენტია. კვლევები ცხადყოფს, რომ რეგულარულ შეფასებას მნიშვნელოვნად დიდი წვლილი შეაქვს მოსწავლის ფონოლოგიური უნარების გაუმჯობესებაში. ის მასწავლებელს ეხმარება განსაზღვროს მოსწავლის საჭიროებები და ადეკვატური ცვლილებები განახორციელოს სწავლების პროცესში.

G-pried-ის კრებულიდან ასევე ვიგებთ, რომ ფონოლოგიური უნარის საკლასო შეფასების სამი ძირითადი ტიპი არსებობს:

- **სკრინინგი** - მოსწავლის ძლიერი და სუსტი მხარეების გამოვლენა;

- **დიაგნოსტირება** - მოსწავლის წარმატება/წარუმატებლობის მიზეზების პოვნა;
- **პროგრესის მონიტორინგი** - სწავლება-სწავლის ეფექტურობის დადგენა, შუალედური შეფასება.

მასწავლებელი კონკრეტული ტიპის შეფასების მიზნით იყენებს შესაბამის ინსტრუმენტებს. თუმცა ზოგიერთი კარგად შედგენილი ინსტრუმენტი შესაძლებელია გამოყენებულ იქნას ორი, ან მეტი დანიშნულებით (როგორც სკრინინგის, ასევე დიაგნოსტირების, ან მონიტორინგის მიზნით).

სარესურსო კრებული, ასევე, იძლევა რეკომენდაციებს, თუ როგორი ტექსტები და დავალებები უნდა შევარჩიოთ შეფასების ამა თუ იმ მონაცემებზე დაყრდნობით. მასწავლებელი, ასევე სხვადასხვა საშუალებებს იყენებს პატარებში მოტივაციის, თავდაჯერებულობისა და თვითრწმენის გასაღვივებლად.

ამრიგად, სხვადასხვა ლიტერატურის დამუშავებისას ჩემთვის ნათელი გახდა, რომ ფონოლოგიური უნარების განვითარების პროცესში წარმოქმნილი პრობლემების მიზეზები ინდივიდუალური და მრავალგვარია. თუმცა, სკრინინგისა და დიაგნოსტირების საფუძველზე შესაძლებელია კონკრეტული მოსწავლის ინდივიდუალური საჭიროებების დადგენა.

თავი IV

კვლევის დიზაინი

4.1კვლევის მიზნები

წარმოდგენილი კვლევის მიზანებია :

* 172 -ე სკოლის პირველი-გ კლასის მოსწავლეებში ფონოლოგიური ცნობიერების განვითარება;

* კითხვის უნარების განვითარება -გაუმჯობესების პროცესებზე დაკვირვება;

ფონოლოგიური ცნობიერება გულისხმობს იმ უნარებს, რომლებიც ბავშვების უმეტესობას სამი წლიდან უვითარდება და მომავალში მნიშვნელოვნად განსაზღვრავს თუ როგორ აითვისებენ ისინი კითხვისა და წერის უნარებს, შესაბამისად, კვლევის ფარგლებში, ასევე განხილულია განსხვავება ფონოლოგიურ და ფონემურ ცნობიერებას შორის, როგორც სხვადასხვა ტერმინი, რომელიც ხშირად ერთი მნიშვნელობით გამოიყენება. **კვლევა მიზნად ისახავს** საჯარო სკოლის მოსწავლეებში (ასაკობრივი კატეგორია 6-7 წელი) აღნიშნულ კონსტრუქტებს შორის კავშირის დადგენას.

4.2კვლევის ამოცანები:

საკვლევი საკითხის აქტუალობის დასადგენად, კვლევის ამოცანის განსასაზღვრავად ინტერვიუ ჩავწერე დაწყებითი კლასების რამოდენიმე მასწავლებელთან. მათთან ჩატარებული შეხვედრებისა და ლიტერატურის გაცნობის შედეგად გამოიკვეთა: რა შეიძლება იყოს აღნიშნული პრობლემის გამომწვევი მიზეზები და რა ამოცანები, ღონისძიებები დავსახო პრობლემის მოსაგვარებლად;

- როგორ გამოვუმუშაოთ მოსწავლეებს ფონოლოგიური უნარ-ჩვევები?
- რა არის ფონოლოგიური უნარები და რატომ არის ისინი მნიშვნელოვანი დამწყები მკითხველისათვის?
- რა თანმიმდევრობით ვითარდება ისინი?
- როგორ შეიძლება მოსწავლეთა პროვოცირება ფონოლოფიური უნარების გასააქტიურებლად?

- რატომ და როგორ ეხმარება ფონოლოგიური უნარების განვითარება კითხვის სწავლაში მოსწავლეებს?
- შეფასების რომელი ინსტრუმენტები დამეხმარება ყველაზე უკეთ მოსწავლეთა პროგრესის გასაზომად?
- რამდენად არიან ჩართული მშობლები მოსწავლეთა სასწავლო პროცესში?

4.3 კვლევის სამიზნე ჯგუფი:

პრაქტიკული კვლევა ჩატარდა N172 საჯარო სკოლის 1ბ კლასში. კლასში მყავს 24 მოსწავლე, კვლევის დაწყების მომენტში კლასში იყო 25 მოსწავლე.

ჩემ მიერ ჩატარებული კვლევა გამომდინარეობს უპირველესად იქიდან, რომ ჩემი აღსაზრდელები ჩამოვაყალიბო კარგ მკითხველებად; ფონოლოგიური უნარ-ჩვევები კი კითხვის ერთ-ერთი საფუძველია. ამ უნარების მქონე ბავშვს შეუძლია ბგერებითა და ზეპირი სიტყვებით მანიპულირება, ბგერებითა და სიტყვებით „თამაში“. ძირითადად. იგულისხმება ბგერების ამოცნობა, ზეპირი სიტყვების მარცვლებად და ბგერებად დაშლა, ასევე ბგერებისა და მარცვლების გადაბმა-გამთლიანება.

4.4 კვლევის მეთოდები

საკვლევი საკითხის გამომწვევი მიზეზების სწორად გამოკვეთის მიზნით მონაცემთა შეგროვების მეთოდებად გამოვიყენე გამოკითხვა, არასტრუქტურირებული ინტერვიუები,ფოკუს-ჯგუფი და ტესტირება.

4.5 კვლევის გეგმა

პირველი კლასი, პირველი გაკვეთილები, პირველი შეხვედრა აღსაზრდელებთან ყოველ ჯერზე საინტერესო და საპასუხისმგებლო მოვლენაა. არა მაქვს ჩამოყალიბებული სტანდარტი, არამედ მუდმივი განვითარებისას, ყოველ ჯერზე სიახლეებით ვიღებ პირველკლასელებს. გათვითცნობიერებული მაქვს რომ ეს მათი პირველი ნაბიჯებია სკოლაში და მასწავლებელზე, როგორც დამხვედრზე უცხო გარემოში-ბევრი რამაა დამოკიდებული.

წლევანდელ პირველ კლასელებთან მუშაობას შევუდექი სპეციალური ,ჩემს მიერ შემუშავებული გეგმის მიხედვით, ჯიპრაიდზე დაყრდნობით ; რაც მდგომარეობს შემდეგში;

- დაკვირვება, გამოკითხვა;
- სკრინინგი (სიტყვის ბგერებად დანაწილების ტესტი; დანართი 1)
- დიალოგი- ინტერვიუ მოსწავლეებთან;(დიაგნოსტირება);
- ფოკუს -ჯგუფები მშობლებთან;
- პროგრესის მონიტორინგი(სიტყვის ბგერებად დანაწილებისტესტი;დანართი 2) (სიტყვების წაკითხვის ტესტი; დანართი 3)

თავი V

5. ცხრილებითა და გრაფიკებით მიღებული შედეგების ანალიზი

5.2 მოსწავლეთა კითხვარის შედეგების ანალიზი

სიტყვების ბგერებად დანაწილების ტესტირებამ(სკრინინგმა) (დანართი 1) ცხადყო ,რომ ზოგი ნაცვლად ბგერებად დაშლისას მარცვლიდა სიტყვას, ზოგი მხოლოდ თანხმოვნებს ასახელებდა,ზოგი თანხმოვანს ტოვებდა, ზოგი ბოლო ასოს არ ასახელებდა...შედეგები(დიაგრამა 1)

დიაგრამა1. სიტყვების ბგერებად დანაწევრების ტესტირების შედეგები:



ვინაიდან მშობლის როლი განსაკუთრებულია მოსწავლეთა სწავლის პროცესებში, განსაკუთრებით კი პირველკლასელთათვის მშობელთა სწორი ჩართულობა მეტად შედეგიანია, ფოკუს- ჯგუფებში პრობლემის მქონე ბავშვების მშობლების ჩართვამ გარკვეულ შედეგზე გაგვიყვანა.

ფოკუს-ჯგუფი 1. 10- მშობელის ჩართულობით ,რომელთა შვილებს ტესტირების -1 შედეგად ჰქონდათ საშუალო მაჩვენებელი.

დიაგრამა 2. ფოკუს-ჯგუფი N 1



ფოკუს-ჯგუფი 2. 7- მშობლის ჩართულობით

რომელთა შვილები ტესტირების -1 შედეგად რისკის ზონაში იყვნენ

დიაგრამა 3. ფოკუს- ჯგუფი 2



თავი VI

6. ინტერვენციები

6.1 კვლევის მეთოდების განხილვა

პირველივე გაკვეთილებზე ვახდენ დაკვირვებას, ვაწარმოებ გამოკითხვებს და ვცდილობ გავერკვე თუ თითოეული მოსწავლე ფონოლოგიური უნარების განვითარების რა დონეზეა და ვაყალიბებ მათთან მუშაობის გეგმებს. კერძოდ სკრინინგისათვის ჯიპრაიდი გვაძლევს საშუალებას გამოვიყენოთ „სიტყვის ბგერებად დანაწილების“ ტესტი.(დანართი 1) პრობლემის გამოკვეთის შემდეგ მქონდა მოსწავლეებთან დიალოგი- ინტერვიუ,, მიმეღო საჭირო კითხვებზე პასუხები საკითხის ირგვლივ რათა ჩავღრმავებოდი თითოეულის პრობლემის არსს,მომეპოვებინა დამატებითი ინფორმაციებიიმაზე თუ რამდენად ადეკვატურად აღიქვამს მოსწავლე პრობლემებს.

საკვლევი პრობლემის აქტუალობის დასადგენად ჩავატარე ფოკუს-ჯგუფი- მშობლებთან, რომელთა შვილებსაც ჰქონდათ პრობლემები.N1- ფოკუს ჯგუფში მონაწილეობდა 10- მშობელი, რომელთა შვილები ტესტირების მონაცემების მიხედვით იყვნენ საშუალო დონეზე.(დანართი 2).
N 2. ფოკუს ჯგუფში 7- მშობელი , მათი შვილები ტესტირების მიხედვით იმყოფებოდნენ რისკის ზონაში(დანართი 3). ამ ჯგუფური დისკუსიის დროს რესპოდენტები იღებდნენ პასუხებს საკვლევ საკითხებზე.

6.2 ინტერვენციის დაგეგმვა

1. ინტერვენცია:

სიტყვებში რითმის ამოცნობა, მარცვლების სიტყვებად გაერთიანება და სიტყვების დამარცვლა; სიტყვაში მარცვალთა რაოდენობის დათვლა ტაშით ან სხეულის ენით.

სავარჯიშოები: გარითმული სიტყვებით თამაში, საბავშვო ლექსებითა და სიმღერებით რითმის სწავლება(ვგულისხმობ მსგავსი ჟღერადობის/დაბოლოებების მქონე სიტყვების ამოცნობა/დაწყვილება/დასახელება); ასევე მცირე ზომის სურათებიანი ბარათებში ვპოულობთ წყვილებს რომლებიც ერთმანეთს ერითმება; თამაშით „ბუდან-გუდან“ ვვარჯიშობთ რითმაში ლექსის/სიმღერის მარტივი ქარგის გამოყენებით; ასევე თამაშით „ტაში სახელებზე“, დავუკრავთ ტაშს თითოეულ მარცვალზე;„ცუნცულა ციყვი“- ვვარჯიშობთ არა მარტო სახელების, არამედ ისეთი სიტყვების დამარცვლაში ,რომლებსაც მეტი მარცვალი აქვთ.

2. ინტერვენცია:

მოსწავლეები სიტყვებსა და სურათებში ამოიცნობენ იმ სიტყვებს, რომელიც შეიცავს წინასწარ მითითებულ ბგერას ან მითითებულ მარცვალს.(თავში, შუაში ან ბოლოში). ვვარჯიშობთ სიტყვაში მარცვლის დამატებასა და ჩამოშორებაში. აქ კარგად გამოვიყენეთ დიდი ზომის სურათებიანი ბარათები მთელი კლასისთვის და მცირე ზომის-ინდივიდუალურად, წყვილებში ან მცირე ჯგუფებისთვის. კითხვა-პასუხის რეჟიმით ვავითარებდი სხვადასხვა უნარებს:

* რამდენი ბგერაა ამ სიტყვაში;

* წარმოთქვით ამ სიტყვის პირველი ბგერა;

* დაასახელეთ სხვა სიტყვა, რომელიც ამავე ბგერით იწყება;

* დამარცვლეთ სიტყვა;

* დაასახელეთ სხვა სიტყვა, რომელიც ამავე მარცვლით იწყება;

* მიიღეთ ახალი სიტყვა ისე, რომ ამ სიტყვის ერთი ბგერა შეცვალოთ;

* დაასახელეთ სიტყვა, რომელიც ამ სიტყვაზე ერთით მეტ/ნაკლებ ბგერას/მარცვალს შეიცავს;

* დაასახელეთ სიტყვა, რომელიც ერითმება ამ სიტყვას;

3. ინტერვენცია:

ბგერებზე მუშაობა; პირველი ან ბოლო ბგერის ამოცნობა; ბგერის ადგილმდებარეობის პოვნა; სიტყვის ტრანსფორმირება ბგერის ჩამოცილებით, დამატებით ან ჩანაცვლებით; მეხსიერებისა და ყურადღების განმავითარებელი სავარჯიშოების ჩართვა; ა-სეთია „ხმათა თანმიმდევრობის მოსმენის“ -აქტივობა; „კუსუნამ თქვა“- აქტივობა ასევე ავითარებს ყურადღებას და ძალიან მოსწონდათ პატარებს; აქტივობები-„ჩვენ სამოგზაუროდ მივდივართ“, „ხატვა კარნახით“ განსაკუთრებული ხალისით ერთვებოდნენ.

4. ინტერვენცია:

ახლა უკვე მოსწავლეთა უმრავლესობას შეეძლო ბგერების სიტყვებად გაერთიანება და სიტყვების ბგერებად დაშლა; ბგერის ადგილმდებარეობის განსაზღვრა (ლოკალიზება) სიტყვაში.

ამა თუ იმ სავარჯიშოს ,მოსწავლეთა საჭიროებიდან გამომდინარე ვახორციელებდი-დიაგნოსტიკურ სწავლებაზე გათვლით.

კერძოდ , აპრილის ბოლოს ჩავატარე „სიტყვების წაკითხვის“- ტესტი; (დანართი 3)

6.3 ინტერვენციების შედეგი და მათი ანალიზი

ინტერვენციების ანალიზი: ზემოთ ჩამოთვლილ აქტივობებს მონაცვლეობით ვახორციელებდი საჭიროებიდან გამომდინარე;

#პროგრესის მონიტორინგის მიზნით -„ სიტყვის ბგერებად დანაწევრების“ ტესტის (დანართი 2) განმეორებითი ჩატარების შედეგად, გამოიკვეთა შემდეგი შედეგები :

დიაგრამა 4.



მაღალი მაჩვენებელი 32%-დან გაიზარდა 76%-მდე;

საშუალო მაჩვენებელი 40%-დან შემცირდა 20%-მდე;

რისკის ზონა 28%-დან შემცირდა 4%-მდე/

 # ფოკუს-ჯგუფ -1 მუშაობამ შედეგები ასე შეცვალა;

100% მოსწავლეების იყო საშუალო დონეზე,

შედეგად კი-მაღალ დონეზე გადავიდა 80%; საშუალო დონეზე დარჩა 20% მოსწავლეებისა. დიაგრამა 5.

დიაგრამა 5



ფოკუს -ჯგუფი 2 მუშაობამ შედეგები ასე შეცვალა:

100% მოსწავლეების სიტყვის ბგერებად დანაწილების ტესტირებაში იყვნენ რისკის ზონაში; მუშაობის შედეგად 42,9 % გადავიდა მაღალ დონეზე;

42,9% საშუალო დონეზე გადავიდა;

14,9% დარჩა რისკის ზონაში. დიაგრამა 6.

დიაგრამა 6



სიტყვების წაკითხვის -ცხრილი

N	მოსწავლის გვარი, სახელი	1წთ. წაკითხული სიტყვების რაოდენობა
1.		29
2.		22
3.		18
4.		45
5.		23
6.		37
7.		33
8.		23
9.		26
10.		19
11.		25
12.		40
13.		50
14.		15
15.		45
16.		30
17.		32
18.		24

19.		22
20.		55
21.		44
22.		48
23.		48

მიღებული შედეგები კარგად ჩანს სვეტოვან დიაგრამაზე:



23 მოსწავლიდან_ 3- რისკის ზონაში მოხვდა;

11- საშუალო მაჩვენებელი;

9-მაღალი მაჩვენებელი;

თავი VII

7.კვლევის ვადები, მიგნებები , რეკომენდავიები, კვლევის ნაკლოვანებები, დასკვნა, ბიბლიოგრაფია.

7.1 კვლევის ვადები

აქტივობა	სექტემბერ	ოქტომბერ	ნოემბერი	დეკემბერ	იანვარი	თებერვა	მარტი	აპრილი	მაისი	ივნისი
პრობლემის იდენტიფიცირება	X									
კვლევის სავარაუდო გეგმის შემუშავება		X								
სიტყვის ბგერებად დანაწევრების ტესტი		X								
ფოკუს-ჯგუფი 1-შეხვედრა მშობლებთან		X	**X**							

ფოკუს-ჯგუფი 2- შეხვედრა მშობლებთან		X	**x**							
მონაცემთა ანალიზი			X							
1 ინტერვენციის განხორციელება			X	X	X	X				
მე-2 ინტერვენციის განხორციელება			X	X	X	X				
მე-3 ინტერვენციის განხორციელება					**x**	X	X			
მე-4 ინტერვენციის განხორციელება								**x**		
ინტერვენციის შედეგების ანალიზი									**x**	
პრეზენტაცია სასაკოლო საზოგადოებასთან, შედეგების გაცნობა										X

7.2 მიგნებები და რეკომენდაციები

ჩემი პრაქტიკის კვლევის მანძილზე შეძენილმა გამოცდილებამ და მიღებულმა შედეგებმა მაჩვენა ,რომ მოსწავლის ფონოლოგიური უნარების განვითარების პროცესი ეფუძვნება შემდეგ მნიშვნელოვან ფაქტორებს:

* *მოსწავლის პროგრესის უწყვეტი მონიტორინგი და შეფასება;*

- *მოსწავლის ინდივიდუალურ საჭიროებებზე მორგებული სწავლება;*
- *მასწავლებელისა და მშობლის მჭიდრო თანამშრომლობა;*
- *წიგნიერი გარემო სკოლასა თუ სახლში.*

კვლევის მეთოდებისა და გამოყენებული ინტერვენციების ანალიზის შედეგად შემიძლია გამოვყო ძირითადი მიგნებები, რომლებიც აუცილებელია გავითვალისწინოთ იმისათვის, რომ ჩვენმა პატარებმა შეიყვარონ კითხვა.

- მოსწავლეებთან ფონოლოგიური სავარჯიშოებზე მუშაობა უნდა მიმდინარეობდეს არა მხოლოდ საანბანო პერიოდის მანძილზე, არამედ ის

უნდა გაგრძელდეს ანბანისშემდგომი პერიოდის განმავლობაშიც, სასურველი შედეგის მიღწევამდე. განსაკუთრებით ეს აუცილებელია კითხვაში დაბალი შედეგების მქონე მოსწავლეებთან.

- ფონოლოგიური უნარების განვითარების პროცესში მეტად მნიშვნელოვანია მასწავლებლისა და მშობლის სისტემატიური ურთიერთთანამშრომლობა. კერძოდ, ინფორმაციის გაცვლა მოსწავლის საჭიროებების განსაზღვრის პროცესებთან დაკავშირებით, თუ როგორია მისი დამოკიდებულებები, ქცევა, მიღწევები და სიძნელეები სკოლასა თუ სახლში.
- სწავლა უნდა გადავაქციოთ სახალისო პროცესად; სისტემატურად ჩავრთოთ სწავლის პროცესში თამაშის ელემენტები; გამომდინარე ასაკობრივი თავისებურებებიდან, ხშირად ვცვალოთ აქტივობები და მაქსიმალურად შევუწყოთ ხელი მოსწავლეთა ჩართულობას სასწავლო პროცესში

  * მასწავლებლებმა დავგეგმოთ თანმიმდევრული და სწორი ინტერვენციები კითხვის შინაგანი მოტივაციის შესაქმნელად:

  * ვინაიდან პირველ კლასში არ სრულდება მოსწავლის კარგ მკითხველად ჩამოყალიების პროცესი, საჭიროა მომდევნო კლასებშიც გათვალისწინებულ იქნას ზემოთჩამოთვლილი რეკომენდაციები.

7.3 კვლევის ნაკლოვანებები

მინდა აღვნიშნო, რომ კვლევა იყო მეტად საჭირო, დროული და ამასთანავე საინტერესო. ბევრი ისეთი საკითხი ამოტივტივდა ზედაპირზე, რომელიც იყო უხილავი ,თუმცა უშუალო კავშირში იყო კითხვის უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებასთან.საკვლევი საკითხის გაანალიზება და პრობლების იდენტიფიცირება სწორად მოხდა. ამის საფუძველი მომცა იმ მეთოდების ანალიზმა, რომლებიც კვლევისას გამოვიყენე. რაც შეეხება ინტერვენციებს, მრავლფეროვანი და მრავალმხრივი გახლდათ, თუმცა გამოიკვეთა მოსწავლეები რომელთაც სათანადოდ ვერ გავუღვიძე შინაგანი მოტივაცია, რომლებიც სათანადოდ ვერ დავაინტერესე; ვფიქრობ, ამაში დიდი როლი მშობელთა ჩართულობაზე გადიოდა; აღნიშნულ კვლევაში სწორედ ამ მიზნით შევქმენი ფოკუს-ჯგუფები მშობელთა ჩართულობით.

სამწუხაროდ, გასაკეთებელი ბევრი დაგვრჩა, სწორედ მშობლის დამოკიდებულებაა განმსაზღვრელი პირველკლასელი მოსწავლის ჩამოყალიბებაში_ როგორც მოსწავლის.

7.4 დასკვნა

კვლევის მეთოდებმა ცხადყო, რომ საჭიროა:

* ფონოლოგიური სავარჯიშოები ჩავუტარო სისტემურად, მკაფიოდ განსაზღვრული ლოგიკური თანამიმდევრობით, მარტივიდან რთულისკენ.

* ვასწავლო ექსპლიციტურად(პირდაპირი სწავლების მიდგომით)-ავუხსნა მოსწავლეს,თუ რა და როგორ უნდა გაკეთდეს. ჯერ ვუჩვენო სავარჯიშოს შესრულების ნიმუში, შემდეგ ჩავრთო პრაქტიკულ ვარჯიშში, ბოლოს კი მივაწოდო უკუკავშირი.

* ყოველდღიურად ფოკუსირება გავაკეთო ერთ ან ორ ფონოლოგიურ უნარზე და არა ერთდროულად რამდენიმეზე.

* ყველაზე მეტი დრო დავუთმო ბგერების გადაბმისა და ბგერებად დანაწევრების უნარებზე ვარჯიშს, რადგანაც ამ უნარებს ყველაზე დიდი წვლილი შეაქვს კითხვის სწავლაში.

* ვავარჯიშო და ვათამაშო მოსწავლეები მცირე ჯგუფებში.

* დავაკვირდე მოსწავლეებს, შევურჩიო სავარჯიშოები და თამაშები მოსწავლეთა საჭიროებების მიხედვით.

* ჩავატარო ფონოლოგიური სავარჯიშოები ყოველღიურად-5-10 წთ-ის განმავლობაში.

* ფონოლოგიური უნარ-ჩვევების სათანადო დონეზე განვითარების შემდეგ მოსწავლეებს პრაქტიკულად ვასწავლი, თუ როგორ გამოიყენონ ეს უნარები კითხვში.

ბიბლიოგრაფია

გამოყენებული ლიტერატურა:

- ზურაბიშვილი თ. სოციალურ მონაცემთა ცენტრი, თვისებრივი მეთოდები სოციალურ კვლევებში. ინტერნეტში მოძიების თარიღი: 20.12.2016.
- საიტის მისამართი: http://old.ucss.ge/geo/

* ჩახაია ლ. 10.01.2014. ინტერნეტგაზეთი, პრაქტიკული საკლასო კვლევა, მოძიების თარიღი:22.12.2016. საიტის მისამართი: http://mastsavlebeli.ge/

- *ქართული ენა და ლიტერატურა, გზამკვლევი მასწავლებლებისთვის, I-VI კლასები, ეროვნული სასწავლო გეგმების ცენტრ*
- *ჯანელიძე ა.ლაბარტყავა ნ.კვირიკაშვილი ვ. ქობალია ქ.(2014) მასწავლებლის წიგნი, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი,*
- *სასწავლო- მეთოდოლოგიური რესურსების კრებული, კითხვისა და წერის სწავლებს დაწყებით საფეხურზე I-VI კლასები,(2015) G-PRIED საქართველოს დაწყებითი განათლების პროექტი*

- *მელიქიშვილი მ.(2012) ლევ ვიგოტსკის კოგნიტური განვითარების სოციო-კულტურული თეორია, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი.*
- *ტყემალაძე რ. დალაქიშვილი ნ. თოფაძე ქ. (2010) სწავლება და შეფასება, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი.*

ელექტრონული რესურსები:

*კ. გაბუნია ქართული ენის გრამატიკის ზოგადი კურსი(2010-2011წწ)

*მ.მირიანაშვილი;ე.ფირცხალავა;პ.ცორგოლაშვილი;მ.ბლიაძე-დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის მეთოდური გზამკვლევი(2010წ)

დანართები

დანართი 1

სიტყვის ბგერებად დანაწევრების ტესტი

მასწავლებლის ფურცელი

მოსწავლე: კლასი:

მასწავლებელი: თარიღი:

#	მასწავლებელი ამბობს	შენიშვნა
1	დ ა	
2	ს ი ო	
3	ბ ე ლ ი	
4	მ ე ლ ი ა	
5	ფ ე რ ი	
6	ძ ა ლ ი ა ნ	
7	ჯ ე ჯ ი ლ ი	
8	ე რ ბ ო	
9	კ ე ნ ჭ ი	
10	ე ნ ძ ე ლ ა	
11	ა ნ ტ ე ნ ა	
12	ჭ ა მ ს	
13	დ ღ ე	
14	ჩ ქ ა რ ა	
15	კ ნ უ ტ ი	
16	წ ყ ა რ ო	

დანართი2

სიტყვის ბგერებად დანაწევრების ტესტი

მასწავლებლის ფურცელი

მოსწავლე: კლასი:

მასწავლებელი: თარიღი:

#	მასწავლებელი ამბობს	შენიშვნა
1	კუ	
2	თიხა	
3	ბატი	
4	აკიდო	
5	ექიმი	
6	ქოთანი	
7	მეგობარი	
8	წელს	
9	თაფლი	
10	ცარცი	
11	წიგნი	
12	ადგილი	
13	თხა	
14	კრეფს	
15	სკამი	
16	ზღვა	
17	მინდორი	
18	ფუტკარი	
19	მარცხენა	
20	გრძელი	

ჯამური ქულა: _____ 104-დან

დანართი 3

სიტყვების წაკითხვის ტესტი

მასწავლებლის ფურცელი

მოსწავლე: კლასი:

მასწავლებელი: თარიღი:

ის	ნამი	ხიდი	მახე	სურათი	5
ვარ	სკა	თევზი	გალობს	თხუნელა	10
ბუდე	ზარი	ჩანთა	დროშა	საუზმე	15
მზე	ვარდი	ბაბუა	ანკესი	მდინარე	20
რკო	ისმის	სუფთა	ბარათი	კარუსელი	25
ზის	ფერი	გუბე	თოვლი	მეგობარი	30
ნელა	დეიდა	კომში	ხერხი	რთველი	35
ლომი	ერთად	ბზიკი	გოდორი	ჩანგალი	40
ბედი	კლდე	ნიგოზი	ჩაიდანი	სანთელი	45
ბარი	ხერხი	ნადირი	საბანი	ათხოვა	50
ფრთა	მიხაკი	შველი	შუბლი	აკვარიუმი	55
ჩირი	ზღვა	ბოსელი	გვირილა	შადრევანი	60

ჯამური ქულა: _____ 60-დან

კვლევის რეფლექსია

პრაქტიკული კვლევის ძირითად თემად ავირჩიე- ,,როგორ განვავითაროთ ფონოლოგიური უნარები, რათა აღმოვფხვრათ ხარვეზები კითხვაში“, მასში გამოკვეთილია ის ძირითადი საკითხები, რომლებიც 6-7 წლის ბავშვებში ფონოლოგიური უნარების განვითარებას ემსახურება; ასევე ჩამოყალიბებულია იმ ძირითადი ღონისძიებებისა და აქტივობების ნუსხა, რომლებიც მოსწავლეთა შორის საჭიროებიდან გამომდინარე, ავითარებს ფონოლოგიურ უნარებს, რაც შემდგომ მათ კარგ მკითხველებად ჩამოყალიბებას შეუწყობს ხელს.
ამ თემის ასარჩევად მიბიძგა იმან, რომ ჯიპრაიდის გავლის შემდეგ პირველად წელს მომიწია პირველი კლასის აყვანა,(მეორე კლასი მყავდა,როცა ჩავერთე ჯიპრაიდში)ძალიან მომწონდა მათი აქტივობები-გაჯერებული თამაშებით, განსაკუთრებით პირველი კლასისთვის;

მართლაც, მოლოდინი გამიმართლდა, მოსწავლეები დიდი ინტერესით ჩაერთნენ ამ რთულ საქმეში; მრავალი თამაშისა თუ ყურადღების კონცენტრირების სავარჯიშოებს გაბრწყინებული თვალებით ხვდებოდნენ არა მარტო საკლასო ოთახში, არამედ მიჰქონდათ სახლში ,უკვე თითქოს მასწავლებლებს;

კვლევის იდეაც აქედან წამოვიდა. მახსოვს ,როდესაც სკრინინგ ტესტირებას ვატარებდი ოქტომბერში-შემთხვევით დირექტორი შემოვიდა, ერთი შეხედვით ,გაუკვირდა, რა დროს ამათი ტესტირებააო,ახსნა-განმარტების შემდეგ მოლოდინებით ჩვენს გვერდით იდგა.

 საკვლევი საკითხის გამომწვევი მიზეზების სწორად გამოკვეთის მიზნით მონაცემთა შეგროვების მეთოდებად გამოვიყენე გამოკითხვა, არასტრუქტურირებული ინტერვიუები,ფოკუს-ჯგუფი და ტესტირება.

სკრინინგ ტესტირების შემდეგ, იმისათვის რომ ჩავწვდომოდი და გამეგო თუ საიდან მოდიოდა პრობლემა, ან რა დამოკიდებულება ჰქონდათ მოსწავლეებს , ჩავატარე საუბარი-ინტერვიუები და დავადგინე პრობლემის გამომწვევი მიზეზები, ჩამოვაყალიბე დასკვნები და დავგეგმე ინტერვენციები.

პირველი ინტერვენციის ფარგლებში ჩავატარე რითმული სავარჯიშოები და აქტივობები მოსწავლეთა საჭიროებებიდან გამომდინარე.

მეორე ინტერვენციის ფარგლებში ვმუშაობდი ბგერასა და მარცვალზე, კითხვა-პასუხის რეჟიმით ვავითარებდი ფონოლოგიურ უნარებს.

მესამე ინტერვენციის ფარგლებში ვმუშაობდი მეხსიერებისა და ყურადღების კონცენტრირების განმავითარებელ სახალისო აქტივობებზე.

მეოთხე ინტერვენციის ფარგლებში- ბგერების სიტყვაში გაერთიანებაზე და პირიქით დაშლაზე, ბგერების სიტყვაში ლოკალიზებაზე.

აპრილის ბოლოს პროგრესის მონიტორინგი განვახორციელე -სიტყვების წაკითხვის ტესტით. (შედეგები სვეტოვან დიაგრამაზე).

აღსანიშნავია ფოკუს -ჯგუფების მიერ გაწეული შრომა, (მშობელთა ჩართულობა) მოსწავლეთა პროგრესში.

კვლევის მიმდინარეობისას საკვლევი საკითხის გაანალიზება და პრობლების იდენტიფიცირება სწორად მოხდა. ამის საფუძველი მომცა იმ მეთოდების ანალიზმა, რომლებიც კვლევისას გამოვიყენე. კვლევის სწორად წარმართვამ და განხორციელებულმა ინტერვენციებმა მკვეთრად გამოკვეთა შემაფერხებელი ფაქტორები და დაგვანახ,ა თუ როგორი მიდგომებითა და თანმომდევრული აქტივობებითაა შესაძლებელი პატარებში განვავითაროთ ფონოლოგიური უნარ-ჩვევები; ეს ერთი შეხედვით, უმნიშვნელო, თუმცა მეტად მნიშვნელოვანი ფაქტორი კითხვის უნარების განვითარებისა.

მინდა, აღვნიშნო პროექტის ნაკლოვანებად ის, რომ ერთიანად ყველა მოსწავლეს ვერ გავუღვიძე შინაგანი მოტივაცია, აქ მშობლის პასუხისმგებლობასაც გავუსვამდი ხაზს. გასაკეთებელი კიდევ ძალიან ბევრია და მინდა სრული პასუხისმგებლობით განვაცხადო, აღნიშნული კვლევა იყო საკმაოდ შრომატევადი, ამასთანავე მიღებული გამოცდილება გამყვება საგზლად შემდეგ წლებშიც.

კვლევის შედეგები კოლეგებს არა მარტო დასასრულს, პრეზენტაციის დროს გავუზიარე, არამედ ყოველი ინტერვენციის შემდეგაც ვაცნობდი, ვმსჯელობდით, ვაანალიზებდით, ისინი აქტიურად ადევნებდნენ თვალს ჩემი კვლევის თითოეულ აქტივობას.

მინდა ავღნიშნო ,რომ დეკემბრის ბოლოს ჩავატარე მეტად საინტერესო შემაჯამებელი გაკვეთილი, იმ სახალისო, შემეცნებითი აქტივობების გამოყენებით, რომლებიც თითქმის ცხოვრების წესადაც კი გადავიქციეთ.

პარალელური კლასის მოსწავლეები, კლასის დამრიგებლის ხელმძღვანელობით დაინტერესდნენ და აქტიურად ჩაერთნენ ზემოთხსენებულ აქტივობებში.

კოლეგებმა კვლევის გაცნობის შემდეგ დიდი მოწონება გამოთქვეს და აღნიშნეს, რომ ეს საკითხი მეტად აქტუალურია დაწყებით კლასებში და აუცილებლად გაითვალისწინებენ და გამოიყენებენ ჩემი კვლევის ინტერვენციებსა და მიგნებებსა.